ფრე – 1:1

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში სტუმრად მყოფმა თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა 5 აგვისტოს თავიანთი პირველი მატჩი ჩაატარეს ქ. ნოენკირჰენში. მათი მოწინააღმდეგე იყო დასავლეთ გერმანიის ერთ–ერთი საუკეთესო გუნდი „ბორუსია“, რომელიც კარგადაააა ცნობილი საერთაშორისო სარბიელზე.

თბილისელები მინდორზე გამოვიდნენ ასეთი შემადგენლობით: კოტრიკაძე; ბ. სიჭინავა, ხურცილავა, ჩოხელი; ზეინკლიშვილი, გ. სიჭინავა; დათუნაშვლი, იამანიძე, კალოევი, ბარქაია, მესხი.

პირველი ათიოდე წუთის განმავლობაში ორივე გუნდი ძირითადად დაზვერვას აწარმოებდა. შემდგომში ინიციატივა თანდათან ხელთ აიღეს დინამოელებმა და მალე შედეგსაც მიაღწიეს. გ. სიჭინავა მე–20 წუთზე მინდვრის შუაგულიდან გავიდა მოწინააღმდეგის ნახევარზე და შორი მანძილიდან დაარტყა კარში – 1:0.

შესვენების შემდეგ წამოვიდა კოკისპირული წვიმა, რომელმაც ძალზე გაართულა თამაშის პირობები. მიუხედავად ამისა, მატჩი ბოლომდე მიმდინარეობდა საინტერესო, დაძაბულ ბრძოლაში. მე–13 წუთზე „ბორუსიას“ მარჯვენა გარემარბმა მაიმ გაიტანა საპასუხო ბურთი და ეს ანგარიში – 1:1 უცვლელი დარჩა თამაშის ბოლომდე.

დინამოელები გაემგზავრნენ ჰანოვერს, სადაც 8 აგვისტოს ითამაშებენ ადგილობრივ გუნდთან – „ჰანოვერ–96“.

7 აგვისტო, 1962 წ.